კვირა 1 ივნისი

ფასი 5 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მათრახი

№ 19. იუმორისტ. ჟურნალი



## ე. ნინოშვილის გარდაცვალებიდან 20 წლის შესრულების გამო.

უსამართლობის იყავ მგმობელი,
მქადაგებელი სიყვარულისა,
გიყვარდა ხალხი — შენი მშობელი
და მას შესწირე ძალა სულისა.

თუმც ბედმა მუხთლად ჩაგქიდა ხელი,
ზარი გიმღერა ალსასრულისა,
მაგრამ სიმართლის მქადაგებელი--
ისევ მცნება ხარ დაჩაგრულისა!..

მა—ნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხ ო ტ ბ ა

(ეგ. ნინოშვილის გარდაცვალების 20 წლ. შესრულების გამო)

დიდება მას, ვინც ტანჯვაში
არ დაეცა გრძნობა-სულით
და ჩაგრულთა გულის-თქმაში
დაგვირგვინდა სიყვარულით!
ვინც ცხოვრების ეკლნარიან
გზაზე, მედგრად მიდიოდა, —
წმინდა შრომის, ნათელ-მზიან,
მომავალსა უყიოდა!..

—

სხივოსანო! — ეს, შენა ხარ,
შენ დაიწვი მსხვერპლად გული
და ჰა, ძეგლად დაგციმციმებს
დაჩაგრულთა სიყვარული!..

**მიხ. ნინოწმინდელი.**

## სატრფოს საფლავს

ცისკრისა ჟამს, ცის წიაღში
აღმობრწყინდა მკვეთრი სხივი,
ობოლ საფლავს დააფრქვია
შემოექდო. ვით ყელს მძივი.
აქვითინდა ტანჯვის ჩანგ:
სიმთა იწყეს სევდით ჟღე[illegible],
მგოსანს ცრემლი მოერია
და მყის გული აუძგერა.
სატრფოს საფლავს ის დაეყრდნო
და ჩანგის სიმს მძლავრათ დაჰკრა,
გრძნობას სძლია და ნაღველი
მის სახეზე მსწრაფლად გაჰქრა.
გადახია ჭმუნვის რიდე,
ჩანგი აკვნეს-ააჟღერა
და იმედით აღჭურვილმა
საფლავს ასე მიუმღერა:
მაპატიე, წმინდათ-წმინდავ
აღთქმა შენი დავარღვიე,
გრძნობამ მძლია და სულმნათო,
მე შენ ცრემლი დაგაფრქვიე.
შენისთანებს არ სჩვევიათ,
ღურფავ ცრემლის ნაკადული,
მომევლინე კვლავ აჩრდილა
გამიმხნევე გული-კრული.
წინ გამიძეხ და მასწავლე
ბრძოლა მძლავრი და მედგარი,
რომ გაბრწყინდეს ჩემი სული
საბრძოლველათ ჟღერდეს ქნარი.

**გოგია.**

სურვილი ჩემი სწრაფვა, სულის

კვნესა გულისა, ამოძახილი,
ამოძახილი კვნესა გულისა..
არავის ესმის ჩემი ძახილი,
ძახილი ჩემი, სწრაფვა სულისა!
ვით უდაბნოში დაშთენილი ვარ,
თუმცა ხალხისა გარს მაკრავს ჯარი;
უმეცრებისა ტაძარში ვზივარ,
მეცნიერების დამიხშეს კარი!
სწავლა სურს, სწავლა! ჩემსა გონებას,
რომ ქვეყნათ იყოს იგი ნათელი,
მითი მოელოს ბოლო მონებას!
სხვისი ჩაგვრისა ამშორდეს ხელი.
სწავლა მსურს, სწავლა, მეცნიერება!
უნდა მესმოდეს თუ რა ვარ... რისა..
უნდა მესმოდეს ქვეყნიერება,
უკან და წინ სვლა მიწის და ცისა!
მსურს... მაგრამ გზაზე აღმართულია,
დაბრკოლებანი, ვით კლდენი მთისა,
მით გული ჩემი დათალხულია,
გამოძახილი არ ისმის ხმისა!
მსურს სწავლა, სწავლა... მამრამ წყურვილი,
ვით უდაბნოში განწირულისა,
არავის ესმის — ეგრე სურვილი,
სურვილიც ჩემი, სწარფვა სულისა!

**ვინმე ჭანი.**

# თავდადებული ქართველი

(ანუ დურმიშხანური კვანტი.)

იქნებოდა დილის რვა საათი, რომ გიორგი დურმიშხანიჩმა მარცხენა თვალი ჰყიტა (მარჯვენა ჯერ დახუჭული ჰქონდა). საზოგადოთ დურმიშხანიჩი არასოდეს ათ საათზე ადრე არ ამდგარა ლოგინიდან, მაგრამ ამ დღეს მოხდა არა ჩვეულებრივი ამბავი სამშობლოს და ქართველი ერის სიყვარულმა მას მყუდროება დაურღვია და ძილი დაუფრთხო. თითქმის ერთი კვირის განმავლობაში ხან შვიდსა და ხან რვა საათზე იღვიძებდა ხოლმე დურმიშხანიჩი. ხშირათ რამდენიმე საათს ლოგინში ტრიალებდა, ფიქრები თავში ულიტინებდენ და თვალს ძილი არ ეკარებოდა ასეთ გამწარებაში იყო ჩვენი დურმიშხანიჩი და ყველა ამის მიზეზი, როგორც ზემოთ ვსთქვი სამშობლოს სიყვარული იყო. მის გონებას პირდაპირ ხვრეტდა ერთი მწვავე აზრი: სომხებში ჩავარდნილს როგორ დაეცვა ქართველების და საქართველოს ინტერესები.

ცოტა ხნის შემდეგ ჟორჟიმ მარჯვენა თვალიც გაახილა და ოთახს მოავლო. საბნის ერთი ყური წამოკეცა (ცხელოდა) ზორბათ დაამთქნარა და ლაზათიანათ გაიზმორა ერთხელ კიდევ მოავლო თვალი ოთახს (ეტყობოდა რომ უკვე კარგად გამოღვიძებული იყო) და სალოკი თითი მოსპეტილ შუბლზე მიირჭო, ღრმად ჩაფიქრდა. სამშობლოს სიყვარულმა ძალზე გაუხიცინა თავში. რამდენიმე წუთს ასე იყო გარინდებული.

— რა ვქნა, რა! — უცბად გაისმა ოთახში მისი ტკბილი, შემპარავი ხმა, — ნუ თუ ასე უნდა გავიყინო ამ სომხურ ელემენტებში?! მართალია ჩემთვის სულ ერთია სადაც და ვის·

F1585

თანაც უნდა ვიყო, შემიძლია ყველას შევეხამო და შევაყვარო თავი, ფეხებზე მკიდია სამშობლო და ჩემი ერი, მაგრამ ერთი გარემოება მოსვენებას არ მაძლევს, რა მოვიგონო ისეთი რომ სამშობლოსთვის თავდადებული კაცის სახელი მოვიხვეჭო. ეგ ჩემთვის აუცილემლათ საჭიროა. ჩვენმა პატრიოტებმა ბათომიდან აქ მომიყვანეს, ქალაქის გამგეობაში „შემაკვეხეს“ მერე რისთვის? მათ იმედი ჰქონდათ, რომ მე აქ დავიცავდი ქართველების ინტერესებს, კრიჭაში ჩაუდგებოდი სომხებს და დედას ვუტირებდი. მერე რა ვქენი? ჩემი ინტერნაციონალური ხულა ამ შოვინისტურ აზრს ვერ შეეთვისა, მე ბუნებით სოციალისტი ამ ვიწრო ფარგალში ვერ მოვთავსდი, ჩემ სომეხს კოლეგებთან ფრიად კარგ განწყობილებაში ვარ. ამ გარემოებამ ქართველი საზოგადოება აალაპარაკა საჭიროა დავუმტკიცო ქართველებს, რომ მე მიყვარს ჩემი სამშობლო, ჩემი ერი და სომხების მოსისხლე მტერი ვარ

ჟორჟი კვლავ ჩაფიქრდა, სალოკი თითი მაგრათ დააჭირა შუბლს.

— ევრიკა! — უცბათ გაისმა ოთახში გმირული ხმა ჟორჟისა და ის უცბად ტახტიდან გადმოხტა — მოვიგონე, მოვიგონე. მე მყავს ერთი ნაცნობი ექიმი ლორთქიფანიძე. ჩემი ხსნა ამ ლორთქიფანიძეშია. მე მოვითხოვ მიიღონ ის ქალაქის საავათმყოფოში თუ უარი მითხრეს სამსახურს თავს დავანებებ. (ღმერთა ნუ ქნას მართლა ისე დავანებო თავი, რომ მობრუნება აღარ შემეძლოს ჩუმად ჩაილაპარაკა მან) თუ ისე გამწვავავდა საქმე, რომ დაბრუნება სირცხვილი შეიქნა სათავად-აზნაურო ბანკისკენ გავისეირნებ და დირექტორის სკამზე ჩამოვჯდედები. უარს არ მეტყვიან. ქართველ საზოგადოებაში ხმაურობა ატყდება, ჩემს გმირობას ღირსეულად დააფასებენ და სამუდამოდ თავდადებულ ქართველის სახელს მოვიხვეჭ.

ჟორჟი სიხარულით რამდენჯერმე შეკუნტრუშდა „ახალგაზდა“ ხბოსავით, საჩქაროდ ტანთ ჩაიცვა და ერთი საათის შემდეგ ეტლით ქალაქის გამგეობისაკენ გაქანდა.

**მზაკვარი.**

(დასასრული იქნება)

---

## მეგობარს.

ნუ, ნუ წარიკვეთ სასოსა  
ნუ დაეცემი სულითა;  
რას გარგებს მოთქმა-ცრემლები,  
აღსდეგ გამხნევდი გულითა!

ადე, გასწიე უღელი,  
გასწი ცხოვრების ჭაპანი,  
გასწი, იპოვე პირი მზე  
შენ სატრფიალო საგანი!

იქნებ აქვეა, სულ ახლოს,  
თავს ღაბურვია წყვდიადი;  
ბნელი გაჰფანტე, მნათობი  
ამობრწყინდება დიადი.

არ იცი ბრძოლა? — სსუ არ სთქვა,  
თორემ მტერს გაუხარდება,  
მხნე ყველა უყვარს, ლაჩარი  
არც დედას შეუყვარდება!

გამხნევდი, თუ სძლევ ბოროტსა,  
კეთილსა გაუმარჯვდება  
და მაშინ შენცა ტკბილათა  
გაგითენდ-დაგიღამდება.

მაშ სცადე, გასწი უღელი,  
გასწი ცხოვრების ჭაპანი:  
ბრძოლით ინახვის პირი მზე  
შენი სიცოცხლის საგანი...

კვლავ დგეხარ, შიში გულს გიკრთობს,  
მონობამ დაგაბეჩავა?  
ფრთა თვარ გაშალა არწივმა  
ბარიდან მთაზე ვერ ავა.

თუ არ ევლება მთათ თხემებს,  
სიმაღლეს შეუშინდება,  
მაშინ ხომ ლაღი არწივი  
არწივი აღარ იქნება! —

და განა შვენის არწივსა  
დაბლობში მიმოფრინავდეს?  
მას ღაღალულსაც ღაჷითაც  
მთის თხემზე უნდა სძინავდეს...

გამხნევდი გულს ნუ გაიტეხ,  
ჩანგი ნუ დაგიჩლუნგდება;  
გქონდეს იმედი უბედოს,  
ბედი კვლავ მოგიბრუნდება.

მაშ დაჰკარ სიმებს ჩანგისას,  
ნუ დაეცემი სულითა;  
რას გარგებს მოთქმა-ცრემლები,  
ასდეგ, გამხნევდი გულითა!

გამხნევდი, გასწი უღელი,  
გასწი ცხოვრების ჭაპანი;  
ბრძოლით ინახვის პირი მზე —  
შენი სიცოცხლის საგანი...

**გ. ლადოშვილი.**

---

# გურული სცენა

**ეგნატე ნინოშვილს.**

(გარდაცვალებიდან 20 წლის გამო.)

თუ სადმე, რამე უბედურობაა, იცოდე იგი ყველე გურულებიზაა, რა ღმერთი გაგვიწყრა, რომ არ ვიცი?! აგი დასაღუპავი, შიმშილობაა და ყველაზე უწინ ჩვენ უნდა გვეწვიოს, გადასახადია და ყველაზე მეტი ჩვენ უნდა გადვიხადოთ, ვინცხამ რაცხა მეიპარა ქურდი შენ უნდა დეიჭირო, ზარმაცი-გადითრეული ვინცხა. ყაჩაღათ გადავარდება იგიც შენ უნდა უნდა დეიჭიროვო, გზაი გაფუჭდება იგი შენ უნდა გააკეთოვო, ხუცეს ჭამა უნდაო ფული შენ მუუტანო, მწერალ-მამასახლისმა სოფლის ფარა შეჭამა კიდომ უნდა გადიხადოვო, გასაყიდი გაქ რამე აბაზს არ გაძლევენ, თუ უნდა იყიდო მანათს გახთიებენ, თუ რამე გაკეთდა ჩვენ გავაკეთეთო, და თუ გაფუჭდა — თქვენ გააფუჭეთო, უსვინდისო კაცს ხმას არა სცემენ, პატიოსანს ცხვირპირს ანტროვენ, შიმშილით კვდები აფერს გაძლევენ, და თუ რამე გაქ ძალათ გართმევენ, მოდი ახლა და იცხოვრე კაცმა ამისთანა დროში. მევიკლა თავი, რაფერ მევიკლა, ან არა და რაფერ უნდა იცოცლხო, აგი დასაღუპავი, ვინც რომ ხეირიანია და ჩვენდა გული სტკივა, იგი ქე კვდება. ვინც რომ უხეიროა და ტყულა აფუჭებს ჭადს, იგი ცოცხალი იარება. ბიჭო! აგია სამართალი? ეგნატე კვდარი უნდა იყოს და ჩვენი მამასახლისი ცოცხალი? ფუ მაგისთანა სამართალს კი რა უთხრა მე.

**რ. ჯიბილ.**



**კალისტრატ ნიკოლაიჩი სიჭაბუკის ხანაში.**

კალისტრატე შეიკაზმა
მიმინოთი, მწევრებითა
და „იმერეთსა“ მიადგა
თავის გრძელი წვერებითა.
იქ მიმინო გააფრინა
მწყერებისა დასაჭერათ,
წაიკითხეთ „იმერეთი„
თუ რომ ჩემი არა გჯერათ.
„იმერეთში“ ნადირობით
ბევრი მწყერი დაიჭირა,
მაგრამ „აზრზე“ რომ მივიდა
ყელში თოკი წაიჭირა.
მოეშველა მას აღმზრდელი
„ადოკატი“ კვირკელია,
(ბოროტების დამთესველი
შემპარავი ვით მელია),
მაგრამ ესეც ვერას გახდა—
კალისტრატეს საქმეც წახდა...

(კალისტრატ ნიკოლაიჩის მოკლე ბიოგრაფია).

ცნობილი კალისტრატე ნიკოლაიჩი („პრინც ალისუბანსკი“) დაიბადა ს. ალისუბანში, შორაპანის მაზრაში მეხუთე საუკუნეში. კალისტრატეს აკვანშივე ეტყობოდა, რომ დიდი მებანქოე (კარტოჟნიკი) და დიდი ოხუნჯი იქნებოდა მომავალში, მაგრამ კალისტრატეს მშობლებმა არ მიაქციეს ყურადღება ამ მოვლენას და მაინც მისცეს სასწავლებელში. პირველ დაწყებითი სწავლა შინაურულად მიაღებია კალისტრატეს მამის მეგობარმა ცნობილმა იურისტმა კვირკელიამ და ასე გასინჯეთ მკითხველო, რომ ისეთი გიპნოტიზმი გაუკეთა კვირკელიამ, თითქმის გამომეტყველობაში პირდაპირ „გაა-კვირკვილიავა“ მხოლოდ ბუნებრივ სიმჩატეს ვერა მოუხერხა რა და ეს სიმჩატე ძრიელ ნაკლს აძლევს „კალისტრატ ნიკოლაიჩს“, კვირკელიამ. როგორც კი შეატყო დიადი ნიჭი, იკისრა ხელმძღვანელობა და უმაღლეს სასწავლებელში ატუცია თავი, მაგრამ ვინაიდან რუსეთში მკაცრმა სუსხმა და ცივმა ჰავამ ძრიელ ავნო კალისტრატეს,მისმა აღმზდელმა დააბრუნა ქუთაისში და მიაბარა ქუთაისის უმაღლეს სასწავლებელში, ეგრედ წუდებულ „ენის სავარჯიშო ფაკულტეტზე“ (კლუბში). მასწავლებლებათ მიუჩინა ევროპის გამოჩენილი პროფესორები „ფრაპის“ ფაკულტეტზე ცნობილი მეცნიერ-

ფრაპისტი სეფე მხეიძე, „პრეფერანსზე—პეტრიაშვილი, მაკაოს ფაკულტეტზე—გრიგორ აბაშიძე და ბაქარას ფაკულტეტზე კი—(ვერაფელი შვილი პროფესორი) გიორგი აკოფოვი.

ეს ზემოთ ჩამოთვლილი მეცნიერება ზედ მიწევნით შეისწავლა კალისტრატემ—გარდა ბაქარისა, თუმცა თვითონ კალისტრატე თავის აღმრზდელს ბრალს არ სდებს თუ ამ ბაქარაში „ნევეზიოტ“, მაგარამ ყველა ამას აბრალებს იმ წყეულ „სემიორკას“, რომელსაც ერთ დროს უსაზღვრ პატივისცემისთვის (რომ მისი გული მოეგო) ოქროს რამკა უყიდა და იუბილეიც კი გადაუხადა, მაგრამ არა ეშველა რა, ასე გასინჯეთ, რომ კინაღამ „დვორიანსკი ბანკიც“ კი გადააყოლა ამ წყეულ „სემიორკას“, თორემ იმას ვილა ჩიოდა რაც არჯევანიძის ზუთხები და „ჟიდკა“ შესწირა ზვარაკათ.

ამ „დაუზოგველმა“ შრომამ ისე გატეხა წელში და ისე გამოუცვალა „ფიზიონომია“, რომ ეხლა ვეღარც კი იცნობთ თუ ეს კალისტრატ ნიკოლაიჩია.

ვინაიდან ბევრს გაიტაცებს ცნობის მოყვარეობა, თუ რა სანახავია დღეს-დღეობით კალისტრატ ნიკოლაიჩი, ვეცდები მომავალ ნომერში დავხატოთ კალისტრატ ნიკოლაიჩის დღევანდელი ფიზიონომია.

**ხვასტუნოვი.**

## მესტვირული
(რაჭიდან)

ქვე რაჭიდან გეახლები,
ქუთაისს მივეჩქარები,
გუდუნა, სტვირი თანა მაქვს,
ის არის ჩემი მგზავრები.
ტანჯვა, შიმშილი, წყურვილი,
ტუქსვა, ციხისა კარები,
მუდამ ამ ყოფას ვატარებ
სანამდის დავიარები.
დიდმა ბატონმა გვიჩივლა,
სულში ვართ დანაბარები,
ჩემსავით კიდევ ბევრია
იმისგან •განამწარები.
ბატონი, მღვდელი, მოხარკე,
სულ ყველა ჩვენი მტერია,
ჩვენს გაჩენაში არ ვფიქრობ,
რომ ღმერთის ხელი ერია.
ძველად, პაპა ჩემს იმათგან
ადგილი შეუძენია,
დასახლებულან ქოხ-მახით
მამა-პაპათა ძენია.
სისხლით და ოფლით მორწყულა,
რაცა გვაქვს განაშენია;
ერთი მითხარით, ბატონთან
გლეხი რა გასაჩენია?..

—

მოვდივარ სევდის ლილინით,
ხელში მიჭირავს სტვირია,
ფეხით მივდივარ, რადგანაც
ეტლები მეტად ძვირია.
მათი თავხედი ქცევითა
დაგვადგა გასაჭირია,
ასეთ უძალლო სოფელში
ან და რა გასაკვირია.
ბატონის საჩივარისა
გამოვიტანე პირია,
მაგრამ ვის უნდა მივმართო
არ დავრჩე ანატირია?!.*)

**ოთარ-ბეგი.**

## გამოცანა.
(შვა ბაზრისათვის.)

სომხის ბაზარში ვაჭრობენ
პუგინ, ალიხან, ბეგია,
თურმე ამდენ ხან მათრახსა
არც ერთი მიუბრეგია.
სავაჭროს ადრე აღებენ
ღამით ჰკეტავენ გვიანო,
მორჩილ ნოქრების წყალობით
დღე და ღამ ფულებს ჰგვიანო.
ვინაა ხმისა გამცემი
მალაყეჽს გადადიანო,
მათრახო ჩქარა გასწიე
წუთიც არ დაიგვიანო.
ჯერ ხაზეინებს უთაქე
მერე ლევანას მისცხეო,


თანამედროვე ჟურნალისტი.

აგრეთვე გრიშაც დაზილე
თავში გაუჩნდეს სიცხეო.
ვინც რომ ლაქუცობს აღებთან
ლევანაც მხარს უმშვენებსო,
და ყველა ნოქრებს ატყუებს
კბილებს კი თეთრს უჩვენებსო
იმათი ენის წყალობით
საშა ხომ დაითხოვესო,
მის სამართლიან მოთხოვნას
ყურიც-კი არ ათხოვესო.
ხუთი წლის ნამსახურევი
ქუჩაში გაისროლესო,
ხაზეინების სურვილი
ამ ორმა შეასრულესო.
რას იზამს დრო ასეთია
ასე სურთ ბატონ აღებსო,
ბევრი მათგანი სიცრუეს
სიმართლედ გაასაღებსო.

**ზენათობა.**

*) ნუ დალონდები მესტვირევ,
გაჰფანტე გასაჭირია...
ვარლამ გელოვანს მიჰმართე
თუ რომ ვექილი გჭირია.
გლეხების ხაქმის დაცვაში
მისებრ „ჩასპანდი“ ძვირია,
ისე გაგიხდის საქმესა,
შეგრჩეს მხოლოდ-ლა სტვირია.
მათრახოსანი.

## პატარა ფელეტონი
**ჭიათურის ჯურღმულებში.**

როდესაც საბჭოს წმინდა გიორგიმ
პირი იბრუნა, ზურგი გვაქცია
და თვისი რწმენის წმინდა ტაძარი
ვით ჰეროსტრატემ ფერფლათ აქცია,
როდესაც ისევ იმავ გიორგიმ
ვარლამ წმინდანათ გადააქცია,
რალა მოვსთხოვოთ ამ მისსა მონებს,

F15615

რომლებს სინდისის არა-რა სცხია!?
ვერ ავიტანე მუდამ სიჩუმე
გულს მიღრნის სევდა, ვითარცა ჭია
და ჩემი თავი მოძულებული
აწ შესაწირათ გადამიცია.
განხეთქილება „ძამულისშვილთა“
რა კი დასრულდა და ჩადგა ქარი,
თვის თვისათ ყველა ორგანოები
გამოსცეს, მხოლოდ არა ჰყავთ ჯარი.
ყველა ფაცურობს, ხალხს მოუწოდებს
ისიც მშრომელთა არა აქვთ ჯანი,
(მათაც იციან სად ზამთრობს კიბო
და ვის ხელშია უდრეკი ძალი.)
და აი, ყველას წინ გადაუსწრებს
საბჭოს ფულებით ორსული „ერი“,
მრავალი ქუჩის „პლატონიკების“
დაიძრა ენა, დაიძრა ხელი,
ვარატნიკები ყავის ფრათ მყოფნი,
გათეთრდენ, ყველას მიეცათ ფერი,
დაყვეს ქუჩებში შეკრიბეს ჯარი—
წინ გენერალი უკან ლაშქარი,
ქიათურისკენ გამოეშურენ
და შეანგრიეს „მეტეხის კარი“!!
დაიწყო ბრძოლა, ვით გამოცდილი
ომს აწესრიგებს „ჩინესის ხანი“.....
დასრულდა ომი და ამ ბრძოლაში
ბევრი დაიჭრა თვით გენერლებიც,
მუშა მუშასა კვლავ მხარს უმშვენებს
რადგან ერთი აქვთ მათ იმედებიც!.
ბაქოს მიდამოს ჟამი განაგებს,
აქ ჯერ არავინ არ იბერტყს ყურებს,
ექვსი ათასი მორცხვათ კასაში
ბურჟანაძესა თვალს უპაჭუნებს!
არც ქუჩებს რწყავენ, ზედმეტი
მტვერით
გამვლელ-გამომვლელს გვიფსებენ
თვალებს
და თუ გაბედე, სიტყვა შეკადრეთ,
ცნობილი თითით გიჩვენებს კარებს!
სანიტარები: ზოგი კავალრობს
საჩხერისაკენ დაყვება ქალებს,
ზოგს მარტო უჭირს და როგორც
კატა
მეწვანილებში დაეძებს თაგვებს,
ჟამი კი ისევ ბაქოს განაგებს,
ბინოკლით ეძებს შესაფერ ალაგს,
დროზე უშველოთ, თორემ შემდეგში
ვერა დავაკლებთ მოსრულსა ჯალათს.
დეკანოზოვი „ეკანომისტობს“
საბჭოს ქონებას თავზე ევლება,
ხრამებში ხალხი იხოცებიან,
აბა რას კარგავს, რა ენაღვლება.
ის „პროფესია“ რაც რომ უჭირავს,
ამბობენ მალე გამოეცლება,
და როგორც უნდა აბრუნოს სკამი,
ის ამ „კვარტეტში“ არ გამოდგება.
ესე ფირმანი რა დავათავე,
მივიღე ცნობა ზედა პალატის,
რომ ორი ჩინით უკან დასწიეს,
გამოქვითითა—ოცი მანათის.
За усердную службу ხან და ხან
აი, ამ გვარათ ჯილდოვდებიან!
ნეტავ ვიცოდე, ასე ერთგულათ
თავისთვის „სიეზდს“ უფრთხილდე-
ბიან?!

?--ძე.

## ნაწყვეტები.

თვალ-უწვდენელ ტურფა წალკოტს
ყვავილებით გაშენებულს,
რა არის რომ არ ატკბობდეს
განცხრომის-ძევ! იქ შენსა გულს!.

სურნელების წიაღ—ბაღში
გამეფებულს, გწყალობს ზენა
ტახტი გიდგას, მარად გატკბობს
ბულბულთ სტვენა, ყვავილთ ქშენა.

სიყვარულის ემბლემაში
ევლები და დანავარდობ,
ხან ლომი ხარ, ხან არწივი
და როცა გსურს ია—ვარდობ.

ზაფხულობით, ზურმუხტ-ლალით
მწვანე კაბით იკაზმები
ფრთებსა ისხამ, ყვავილების,
გულში ძვრები იქა სტკბები.

მაგრამ მაინც...კიდევ მაინც...
გწყურია და არა ძღები,
არ გაშინებთ მაშვრალთ რაზმის
ჩონჩხები და მათი ძვლები.

კ—შვილი.

## სატრფოს.

(ლექსი პროზად)

მე შენი სახე თვალზე მიდგას სა-ტრფოვ გულისა, აღარ მასვენებს მოჩვენება ცხადათ, სიზმარად; ვერ მითქვამს სიტყვა გაბედული, თავისუფალი და ვიტანჯები, შეუმჩნევლად ცრემლი მდის მარად.

რა ერთხელ გნახე—გულმა იგრძნო შენდამი ტრფობა, შენ კი ცივი ხარ ვერ გამაძღე კოცნით, ალერსით, ვიცი სხვას უძღვნი ჩემს ხანატრელ ჟუჟუნა თვალებს და მე კი აგრე წუთი-სოფელს ვატარებ კვნესით.

კვალ-და-კვალ დამდევს ავ-სულების მთელი არმია და ათას ჭორებს ავრცელებენ ბოროტის ხმებით, რაკი შემწამეს მე შენდამი უსაზღვრო ტრფობა, უნდათ დროებით მოილხინონ ჩვენის წამებით.

აგრე უსიტყვოთ, აგრე მუნჯათ ვატარებ დროსა, ვერ მითქვამს სიტყვა გაბედული, სიტყვა მართალი; შენ კი ცივი ხარ— ვერ გამაძღე შენის ალერსით და მეკი—ვიწვი, გულს მიდაგავს ცვცხლისა ალი.

დარდიანიძე.

## ნინოსა და პეტრეს დარდები.

(მუსაიფი ოზურგეთში)

**ნინო.** რა, ქენი პეტრე ხომ გახსოვს ჩემი მოცემული ვადა ხვალ თავდება, გეიგე თუ არა ვინ არის „გარგანა“?

**პეტრე.** თქვენ რომ მიბრძანეთ მერე სულ თავ მოგლეჯილი დავრბივარ, საცდელს არ ვზოგავ მარა ვერ გევიგე ძნელი გასაგებია ბატონო, გარგანას იმას ეძახიან ვინც გრძელ ჯოხს ატარებს და ასეთები ხომ ბეურია.

**ნინო.** განა ტყუილად გამოგარჩიე თორმეტი წლის ნასტარშინალი, ეს ვეღარ შესძელი?

**პეტრე.** აგი უფრო მიშლის ხელს, დემოკრატები აღარ მენდობიენ და სხვამ ვინ იცის ვინ არის გარგანა?

**ნინო.** კიდევ მოგცემ ათი დღის ვადას და უსათუოთ გეიგე და მითხარი, იმას უტირებ დედას.

**პეტრე.** თუ კი გევიგებდე განა მე ვერ უტირებ? არამც მკიდებოდეს ჩემი ლეკური თუ იმას ერთი მოქნევით კისერი ვერ წავაპურტყულებინო, მე ასეთი ვაჟკაცობისათვის მაქვს ამდენი ჯვარ-მედლები მიღებული.

**ნინო.** თუ ვარგხარ კიდეც გეიგებ, შორებელი არ არის თორემ რა იცოდა ჩვენი ყოველიფერი.

**პეტრე.** არ უნდა იყოს ბატონო ახლობელი, იმით ვფიქრობ, რომ დაბლაჯული ხოსონაი სოვდაგორივით გამოუქიმავს კარიკატურაში და ჩემი ჯვარ-მედლები და მოჭედილი ლეკური არ სცოდნია.

**ნინო.** დიმიტრე ხომ გეხმარება მოძებნაში, იგიც ხომ გალანძლა გარგანამ.

**პეტრე.** კი ბატონო მაგრამ ვერ გევიგე, იგი რომ მიჩივა ის არ უნდა იყოს და ეჭვით კაცი რაფერ მოვკლა, ვფიქრობ ესოფ კანდელაკმა მოგვიხერხა, იწყინა ის რომ გააძევე და მე დამაყენე მოურავად.

**ნინო.** მას რომ არ შეუძლია ამდენი ლექსის წერა?

**პეტრე.** შეასახელებდა ვინმე დემოკრატს.

**ნინო.** შენ ხომ იცი ამის გაგებისთვის რომ ხარჯი არ მშურს.

**პეტრე.** ბატონო ხარჯებს არც მე ვზოგავ და ჯერეც ბეური დავხარჯე. ეხლა ვიცი თფილისში წაუსლელად ვერ გევიგებ და ვაპირობ ადრე, იქ კი გავიგებ.

**ნინო.** ერთი რამ მოვიფიქრე, ეხლავე წადი და ყოველ მეყანეს გამოუცხადე ან გვითხარით ვინ არის გარგანა თუ არადა ყოველ ქცევაზედ მოუმატე თითო მანეთი მიწის ღალას, ასე 8 მანეთის მაგიერ ვინც 9 არ მოგცეს ყანაში არავინ ჩაუშვა და თვითონ მონახვენ გარგანას.

**პეტრე.** მესმის ბატონო, მარა რაღა რომ თქვენის ბრძანებით ყველას სიტყვა გაუთავე 8 მანეთად და უმრავლესობას დათესილი და დახნულიც აქვან.

**ნინო.** (გამწყრალი) მერე რამაგა უკეთესია ასე თუა, ველარ დატიებენ და შეასრულებენ ჩვენს ბრძანებას, თუ ვინმემ წინაალმდეგობა გაბედოს მაცნობე და მე ვიცი მისი წამალი. განა არ ახსოვან რამდენჯერ ავაწიოკე ისინი? შენ მე მგონი ვერ გამომადგები ის რა ქენი ეხლა რომ სტრაჟნიკები გამოგიგზავნე, ხომ ეილე ძველი ღალის ფულები!

**პეტრე.** თლათ ვერ ავიღე, სტრაჟნიკებმა 15 დღის მეტი აღარ მომიცადეს, მეტის ნება არ გვაქვსო, კიდევ გამოგზავნე უფრო გრძელი ვადით და ავიღებ.

**ნინო.** აბა „დავაი“ ფულები რაც ეილე.

**პეტრე.** სადაც ფული არ იყო, საწინდარები ავიღე, მარა იქ არ გეიყიდა, ხალხმა სთქვა: ჩვენი მეზობლების ნაძარცვს ჩვენ არ ვიყიდითო და ფულათ არ არის.

**ნინო.** საწინდრები აქ გამომიგზავნე, აქ ყველას გავყიდი, მხოლოდ კარგები აიღე. თუ არ დამიჯერებ ყოველისფერს, ესოფის ვარეს დღეს დაგაყენებ გაგაგდებ და არაფერს მოგცემ. ფრთხილათ იყავი.

**პეტრე.** თუ გამაგდებ იმიზა შავს არ დევიღებავ, კიდევ სტარშინობას ვიშოვი ჯამაგირიანს და გამოცდილი ვარ, მეტსაც ავიღებ შენ რომ მაძლევ.

**ნინო.** (თავის ქაქანით) მართალია ზაკუსოვი აღარ მყავს მარა იმდენი გავლენა მაინც კი მაქვს, რომ ამ გუბერნიაში სტარშინადაც არსად დაგაყენებ თუ გიქენი, წადი რაც გითხარი ის ეცადე, წადი.

**პეტრე.** ვეცდები ბატონო, შვიდობით ბრძანდებოდეთ.

**უგარგანო.**

---

## დეპეშები.

**ჩოჩხათი.** პართენაი ლანჩხუთის რაიონიდან დაბრუნდა, რომელმაც ერთ გლეხს თავის ცრუ მოწმეებით თელი საბარებელი ააშვლიპა. თუ მისმა საქციელმა ერთ ხანს გასტანა ჩოჩხათლების ზედს ძაღლი არ დაჰყეფს და კიდევ ბარე ორს აკიდებს ზურგზე ბარგს.

— როგორც ამბობენ პეპუნა კუზიანს სამარის მეტი არაფერი გაასწორებსო, მაგრამ ეს საკითხი წიალბანელებისთვის მიმინდვია გამოსარკვევათ.

**წიალობანი.** მიხაკო ჭ-ას რომ სხვის ჯიბეში არაფელი ჩაუდვია, მას მერმედ ორი დღე და ორი წუთი გასულა.

**სუფსა.** ალექსანდრეს აზნაურ-მახლო ქალების ბრეგვა-კოტრიალიზაცია დასრულდა; ამ დღეებში, საღამოს შებინდებისას, გაიმართება სალიტერატურო ჭიდაობა. მონაწილეობას მიიღებენ როგორც ქმარიანი ისე ქვრივი და უქმარო ქალებიც, რადგან ბილეთების ფასი ხელ მისაწდომია, ხალხი ბლომათ დაესწრება.

**ოლოლე.**

—

**ს. დონაური.** დასავლეთ გურიაში კარგად ცნობილმა მონადირე ბაგრატ „დიდმა“ გამოუცხადა თავის მეზობლებებს: რაკი ჩემი თხოვნა არ შესრულა საზოგადოებამ და გაზეთშიაც ჩამაგდო ვიღაც თქვენთაგანმა, ამიტომ დღეის შემდეგ მხეცებს თავს ვანებებ და თქვენზე ვიწყებ ნადირობასაო. ხალხი გადასახლებას აპირებს ჯაყელის მამულებიდან, რადგან ამ მამულების „მეფე“ ბაგრატ მონადირე ბრძანდება და იარაღიც მას უკავია ხელში.

გვიშველე მათრახოსნო,
გადაგვერია ბაგრატა!
(სილაღიანი ბიჭია,
მუდამ თოფი აქვს ბარგათა)
ჩამოდი, შენი მათრახით
მისცხე და მისცხე მაგრათა,
სულ კალმახივით ახტუნე,
თუ არ მოიქცეს კარგათა.

**წკიპარტი.**

—

(არამკითხეს საავენტოსაგან)

**დ. ლანჩხუთი** — ამაღლებას აქ გაიმართა დიდი სეირნობა სადაც სხვათა შორის პრიზები მიიღეს შემდეგმა პირებმა: ლანძღვა ბენცელის — ნ. მხეიძემ; კრივის დიმიტრი ცინცაძემ; მისძენის ქ. მაჭავარიანისამ, მიშურების მომრიგებელმა მოსამართლემ, რევოლვერის შიშვლების ექიმ გრიგორაშვილმა, ქანქართ მოგების ქალთა პროგიმნაზიამ, სილამაზის ქ-მა ულამაზომ.

**იქიდანვე.** 18 მაის აქ ჩაიმართა ლექციების ზუბრვა, პირველათ ჭუმბურიძემ პოეტ გრიშაშვილს ოქროს ფეხებზე გამოაბა ჰაეროვანი კოცნის ფრთები, შეაჯდინა ჯოხ-ცხენაზე და იტალიის პოეტს შველის

ნუკრივით მოლივლივე ზღვის ტალღებში მკერდით დაამგერა.

მაყურელებს კი ხელში საპნის ბუშტი შერჩათ.

მეორე „რეხტორმა“ თ. ღლონტმა მოზომა საქართველოს ტერიტორია. მხოლოდ ვერ დაზომა თავისი ენა; მაყურებლების უმრავლესობამ მიიძინეს, უმცირესობამ აბდაუბდას „რეხტორს“ დაცინვის ოვაცია მიაყარეს და გზას გაუდგნენ მხოლოდ ფედერალისტი სკოკი. მათი კურთხება ივანე ვაჭართ უხუცესობა ერისტო, მომძევ მყეფარი მჭედელი და სხვა ყოველ გამოლვიძებაზედ ხელს უტაშუნებდენ დაფრხა ფედკას ნაცოდვილევთან ერთად ქორები და ძერაები. ხოლო აკაკიმ თავის ბუჭგალტერული მეცნიერებით თორმეტამდე ჩამოითვალა შემოსული ქანქარი.

# სანაგველა

(ანუ „ლახტი“—„მათრახში“.)

### უძღვნი „წელკავს*)“

გულით არ მსურდა
ლექსისთვის რომ
მომეკიდა ხელია
მაგრამ რას იზამ თუ ამ
დროს ცხოვრება ისე ძნელია.
ქე ვიყავი ჩემთვის წყნარა
დროსა ვკლავდი ნელა-ნელა
სანამ ერხელ თვით წელკავმა
ჩემზედ ენა წაიგრძელა.
შე ოხერო აყლაყუდა
რამ გაგზარდა ასე გუდა
გიჯობს შენთვის დაეტიო, სანამ
გვერდი შეგეხუროს.
შენ გგონია მარტო შენ გაქ
წერისა და ლექსის ნიჭი?
არა ვაჟო ჩვენც გვაქ ძალი
რომ აგაძროთ ზურგზედ ტყავი.

ს. ქადიეშვილი.

ადრესი ოზურგეთი.

ბატონო რედაქტორო! ეს მეორეჯერ გიგზავნი ლექსს და არ ვიცი რატომ არ მიბეჭდავ!. ლექსს არა უშავს მგონია, მიზეზი რა არის რომ არ მიბეჭდავთ? მაქაც მექრთამეობა ხომ არ არის, თუ ამტელი ხათრი გაქვთ წელკავის? მიდლემჩი თფილისში ხომ არ იქნება ის თქვენი წელკავი?

ს. ქადიეშვილი.

*) ოზურგეთელი პოეტი ს. ქადიეიშვილის პირველად გამოსვლა სამწერლო ასპარეზზე ფრიად ღრმად შესანიშნავი მოვლ ენაა. ჯერ არც ერთმა ერმა ისეთი პოეტი არ იცის რომ ასეთი საუცხოვო ლექსი დაეწეროს. დაიწყებთ თუ არა ლექსის კითხვას თქვენ მაშინვე ნათლათ წარმოგიდგებათ დიდი მუშტი, გამძვრალი ტყავი, ვითარცა „ჯლარკი წულისა“ გუდა ღვინით კი არა, ლექსებით სავსე, და სხვა მრავალი ამ გვარი საგნები. ჩემის აზრით პოეტის და საზოგადოთ მწერლის პირველ ღირსებას უნდა შეადგენდეს ის, რომ ასე მკაფიოთ დაანახოს მკითხველს საგნები. პოეტი ს. ქადიეშვილი ძლიერი ნიჭის პატრონია და დიდათ გვიხარია პირველად რომ ჩვენს ჟურნალში გამოჰყო პოეტური ფეხი.

სანაგველას რედაქტორი.

### წერილები რედაქციას.

ბ-ნო რედაქტორო მათრახისაო! იმედი მაქვს და ამ დავალებას შემისრულებთ: ცნობილ „პოეტუშკა“ გუცამ ვინაიდგან ვერ გაიგო თუ როგორი ,,შლაპა‘‘ არის პოეტუშკებიზა მოდნაში და აგერ ათი წელია მოწაფის ქუდს იხურავს, ამიტომ გთხოვთ ,,პოეტუშკა ბრილიანჩიკს‘‘ მოაწოდოთ ,,შლაპკის‘‘ მოდელი.

თქვენი კორესპონდენტი ხვასტუნოვი.



ვასრულებთ თხოვნას და ეგზავნება გუცას ახალი ,,ფასონის‘‘ ,,შლაპა‘‘—,,მუზა‘‘

რედაქცია.

—

ბ-ნო რედაქტორო! თქვენს პატივცემულ ჟურნალ ,,მათრახში‘‘ (№ 17) ბ-ნ შანთს მოთავსებული აქვს წერილი ნაძალადევიდან, რომელშიაც ის ცილს სწამებს ნაძალადევში პარკოვის ქუჩაზე მცხოვრებლებს. ვითხოვ ბ-ნ შანთს სამედიატორო სამართალში და ვადას ვაძლევთ საპასუხოთ ორ კვირას. ჩვენის მხრით მედიატორებათ ვასახელებთ: სოლომონ ღირდალაძეს და ლუკა ტყეშელაშვილს.

ნაძალადევის, პარკოვის ქუჩაზე მცხოვრებლების დავალებით—ვასილ გიორგის ძე ხარაბაძე.

—

### „აზრში“ ვკითხულობთ:

,,მათრახის‘‘ 15 ნომერში მოთავსებულია ლექსი ,,მესტვირული‘‘ (ჩოხატაურისათვის) ბ. ,,წაველასი‘‘. ავტორი უდიერათ იხსენიებს ადგილობრივ ექიმს, რომელმაც თავისი უანგარო, ენერგიული შრომით დიდი პატივისცემა დაიმსახურა ხალხში. ამიტომ გამოვსთქვამთ მწუხარებას, რომ ბ. წაველას, სრულებით არ სცნობებია ბ. ექიმი და მისი მოღვაწეობა. ვაძლევთ წინადადებას, რომ მომავალში უფრო დაკვირვებით მოექცეს ადამიანის პიროვნებას და ვავალებთ ,,მათრახს‘‘, რომ გადაბეჭდოს ეს წერილი მახლობელ ნომერში.

ხელს აწერს 16 კაცი.*)

*) ჩვენის აზრით საკმარისი იყო ბ-ნ ექიმს ერთი კაცისთვის მოეწერინებია ხელი და თექვსმეტის ძებნაში დრო არ დაეკარგა. ფასი ერთი ექნებოდა. აბა ეს რა თავის გამართლებაა? თუ მაზე რამე სთქვეს (იმდენიც არაფერი) თვით შეეძლო გაებათილებია ბრალდებები და არა ,,დიპლომი‘‘ მიეღო თექვსმეტი კაცისაგან, რომ ის უანგარო მოღვაწეა. ის რა ექიმია რომელსაც მთელ დაბაში 16 მეგობარი არ ჰყავდეს და ამ მეგობრებმა ხელის მოწერა არ იცოდენ?

,,მათრახის‘‘ რედაქცია.

# იყიდება

### იუმორისტული ჟურნალები:

1) „ეშმაკის მათრახი“ 1908 წლის 34 ნომერი; 2) „მათრახი“ 1909 წ. 34 ნომერი და 1910 წ. 33 ნომერი. თითო წლისა ღირს—2 მ. 50 კ., ვისაც ყდით ჰსურს მიემატება თითო წიგნს მანეთი. „ალმანახები“ 1909 წელში გამოცემული 10 ნომერი—10 შაური.

ადრესი: Тифлисъ, Типографія Шрома, Теофилу Болквадзе.